

წყლის რესურსების გავლენა სახელმწიფოთაშორის
ურთიერთობებში

გიორგი კაპანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტიმოთი ბლაუველტი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი კაპანაძე

27.06.2016

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია წყლის საერთო რესურსებსა და სახელმწიფოთა ურთიერთობებს შორის არსებული კავშირის კვლევა და პასუხის გაცემა კითხვაზე თუ რა გავლენას ახდენს წყლის რესურსების სიმცირე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე: კონფლიქტის წარმოქმნას უწყობს ხელს თუ პირიქით, მხარეებს შორის თანამშრომლობას?

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ჰიპოთეზა - სახელმწიფოთა შორის არსებული წყლის რესურსები ხელს უწყობს მათ შორის თანამშრომლობას და არა ომს, თუნდაც იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც აქვთ უთანხმოება სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად ნაშრომში განხილულია სამი ქეისი: მდინარე იორდანის აუზში არსებული წყლის რესურსების ირგვლივ ისრაელსა და იორდანის შორის ურთიერთობა, მდინარე ნილოსის როლი ეგვიპტე-ეთიოპიის ურთიერთობებში და ენგურისა და „ენგურჰესის“ მნიშვნელობა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

თეორიულ ჩარჩოდ ნაშრომში გამოყენებული იქნება რაციონალური არჩევანის თეორია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები გადაწყვეტილებას იღებენ მოგება/დანაკარგის ანალიზის შედეგად და ირჩევენ იმ გზას, რომელიც მათ მეტ სარგებელს მოუტანს. მოცემული ნაშრომი შეეცდება აჩვენოს, რომ წყლის საერთო რესურსების არსებობის პირობებში, თანამშრომლობას სახელმწიფოთა შორის, აღნიშნულ საკითხზე, მეტი სარგებელი მოაქვს მათთვის ვიდრე ომს.

გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველი საკითხი საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში მზარდი აქტუალობისაა, ვიმედოვნებ, მოცემული ნაშრომი საინტერესო აღმოჩნდება მკითხველისათვის.

ძირითადი სამიეზო სიტყვები; საერთაშორისო მდინარეები, წყლის საერთო/ზიარი რესურსები, კონფლიქტი, თანამშრომლობა, ნილოსი, იორდანე, ენგური

Abstract

The purpose of this paper is to look at the linkage between shared water resources and international relations. The paper will try to answer the question: how do the shared water resources influence on interstate relations: does the water resources cause conflicts or promote cooperation between riparian countries?

In the research process was revealed a hypothesis – shared water resources promote cooperation and peace between riparian countries, instead of wars. Even among countries which have disagreements or disputes on the other important issues.

In order to check the hypothesis, the paper discusses three cases; Israeli – Jordan relations over the shared water resources of the **Jordan river** basin, the role of **Nile river** in Egypt-Ethiopian relations, and the importance of **Enguri river** and Enguri hydro-power station in relationship between Georgia and Abkhazia.

The conceptual framework is mainly based on rational choice theory, according to which the states make their decisions after analyzing of costs and benefits and they choose the way which brings to them more benefits. The paper will try to show that cooperation and peaceful division of shared water resources is more profitable for riparian countries than wars.

Due to the increasing actuality of this issue in the discipline of international relations I consider that the essay will be interesting for readers.

Key words; Transboundary rivers, shared water resources, conflict, cooperation, Nile, Jordan, Enguri